



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის №025/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

გიორგი გიორგაძე (სტუდენტი)

ფაქტები

ადვოკატს დაუკავშირდა იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროს სპეციალისტი და შესთავაზა სავალდებულო წესით დაეცვა ბრალდებული, რაზეც ადვოკატი დათანხმდა და გააფორმა ორდერი. თუმცა გამომძიებელი არ დაკავშირებია. ადვოკატმა ბრალდებული პირი მოინახულა წინასწარი დაკავების იზოლატორში იმავე დღეს 23:15 საათზე. კლიენტის პრეტენზიით, ადვოკატი დროულად არ შეხვდა მას. ამასთან, შეხვედრის დასრულების შემდეგ, კლიენტის (საჩივრის ავტორის) ნებართვის გარეშე მასმედიის წარმომადგენლებთან ადვოკატმა განაცხადა, რომ საჩივრის ავტორი იცნობდა გარდაცვლილ პიროვნებას, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებას ჩამოუყალიბა გარკვეული შეხედულება საჩივრის ავტორის მიმართ, რაც ემთხვევა საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის ინტერესებს. კლიენტის განმარტებით, ადვოკატის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს, მისმა განცხადებამ პანკისის მაცხოვრებლების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და საფრთხის წინაშე დააყენა საჩივრის ავტორის ოჯახი. ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტმა მათი საუბრის დროს დაუდასტურა გარდაცვლილ თ. მ.-თან ნაცნობობა, ამ ინფორმაციის გავრცელება ბრალდებულს მისთვის არ აუკრძალავს და ჟურნალისტებთან განაცხადა, როგორც ნაცნობობა, ვინაიდან ჩათვალა, რომ ეს ინფორმაცია მის მდგომარეობას არანაირად არ დაამძიმებდა. ამასთან, ადვოკატის განმარტებით, პანკისის მოსახლეობის უკმაყოფილება არცერთ მედიასაშუალებას არ გაუშუქებია, შესაბამისად მის ინტერვიუს უარყოფითი გავლენა ე. გ.-ს ოჯახზე არ მოუხდენია.

სამართლებრივი შეფასება

საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე განმარტავს და უთითებს იმ ფაქტზე, რომ ადვოკატი ელოდებოდა გამომძიებლის ზარს, რის შემდეგაც უნდა შეეთანხმებინა მასთან საგამომძიებო მოქმედების ჩატარების დრო და შეხვედრისას გადაეცა ორდერი, აღნიშნული ქმედება კი წარმოადგენდა მომზადების ეტაპს. საპროცესო კოლეგია მიუთითებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლითაც განსაზღვრულია დაკავებისა და ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემის ვადა. საპროცესო კოლეგიის პოზიციით ადვოკატმა დაიცვა გათვალისწინებული ვადა და დაუსაბუთებლად მიაჩნია (აპეკ-ის 8.5 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების ნაწილში) საჩივრის ავტორის პოზიცია. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის ქმედებით კონფიდენციალობის პრინციპი (აპეკ-ის 4.4(ბ) მუხლი) არ დარღვეულა, ვინაიდან ადვოკატმა გაამჟღავნა ისეთი ინფორმაცია, რომლის გამოყენებაც კლიენტს მისთვის წინასწარ არ აუკრძალავს და ადვოკატის შეფასებით, ის ამ განცხადების გაკეთების დროს მოქმედებდა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის არ აღძვრის თაობაზე.

¹ https://gba.ge/pdf/5cb5e43e54d06.pdf/025_18,%2018.04.18,%20ar%20aghdzvra.pdf